



აპლიკანტის გზამკვლევი

თუ გადაწყვიტე პროფესიულ პროგრამაზე სწავლა, ამისათვის უნდა შეარჩიო პროგრამა, კოლეჯი, გაიარო რეგისტრაცია და მონაწილეობა მიიღო შერჩევის პროცესში. გზამკვლევი დაგეხმარება პროცედურების გავლაში:

1. დარეგისტრირდი <https://vet.ge/ge> ვებგვერდზე;
2. თუ ვერ ახერხებ დამოუკიდებლად დარეგისტრირებას, მოგვმართე და მარნეულის კოლეჯი დაგეხმარება ამ მნიშვნელოვანი პროცედურის გავლაში;
3. რეგისტრაციის პროცესში უნდა შეარჩიო სასურველი (არაუმეტეს სამისა) პროფესიული პროგრამა და სასწავლებელი (კოლეჯი);
4. რეგისტრაციის პროცესი დაიწყო **2023 წლის 22 მაისს და დასრულდება 10 სექტემბერს, გაითვალისწინეთ!** ამ ვადის შემდეგ თქვენ ვეღარ შეძლებთ 2023 წლის მიღებაში მონაწილეობას;
5. არ შეცვალოთ რეგისტრაციისას მითითებული ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა, ვინაიდან ამ მისამართებზე თქვენ მიიღებთ ყველა საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას;
6. 23-24 სექტემბერს ჩატარდება შერჩევის პროცესი ყველა პროგრამაზე გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ:
 - 22 სექტემბერს გამოცდების ეროვნული ცენტრი ჩაატარებს პრეტესტს;
 - ფარმაციის პროგრამა, საექთნო განათლების პროგრამა -- ქიმია-ბიოლოგიის (სკოლის პროგრამა) ტესტს ჩაატარებს გამოცდების ეროვნული ცენტრი (ზუსტი თარიღი გეცნობებათ სატელეფონო მესიჯით ან ელექტრონული ფოსტით);
 - აღმზრდელის პროგრამა -- ზოგადი უნარების ტესტს ჩაატარებს გამოცდების ეროვნული ცენტრი (ზუსტი თარიღი გეცნობებათ სატელეფონო მესიჯით ან ელექტრონული ფოსტით);
 - 14 სექტემბერს - ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამა - მოტივაციურ გასაუბრებას ჩაატარებს მარნეულის კოლეჯი;
 - 19 და 20 სექტემბერს - საფინანსო სერვისების პროგრამა - მოტივაციურ გასაუბრებას ჩაატარებს მარნეულის კოლეჯი;
7. **2023 წლის 17 ოქტომბრამდე** სატელეფონო შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებთ ინფორმაციას თქვენს მიერ ტესტირებაში ან გასაუბრების დროს დაგროვილი ქულების შესაბამისად რეიტინგული ადგილის შესახებ;
8. თქვენი რეიტინგული ქულით განისაზღვრება მოხვდით, თუ ვერა სასურველ კოლეჯში და სასურველ პროგრამაზე;



მარნეულის კოლეჯი
COLLEGE OF MARNEULI

საქართველო

9. **2023 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით** რეიტინგული ქულის (რეიტინგულ სიაში თქვენი რიგითი ნომრის) გათვალისწინებით შესაძლებლობა გაქვთ მონიშნოთ საბოლოო არჩევანი (ანუ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება, რომელ პროფესიულ პროგრამას და რომელ კოლეჯს ირჩევთ);
10. **2023 წლის 19 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე** სავალდებულოდ უნდა გამოცხადდეთ არჩეულ კოლეჯში განცხადების დასაწერად და საჭირო საბუთების წარსადგენად. **გაითვალისწინეთ!** ამ დადგენილ დღეებში არმისვლის შემთხვევაში, თქვენ ვერ ჩაირიცხებით სასურველ პროგრამაზე მიუხედავად რეიტინგული ქულისა;
11. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ გადალახავთ შერჩევის პროცესში დადგენილ მინიმალურ ზღვარს, მაგრამ მაინც ვერ ჩაირიცხებით სასურველ პროგრამაზე, **2023 წლის 30 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე** პერიოდში შესაძლებლობა გექნებათ მიმართოთ კოლეჯს და ჩაირიცხოთ თავისუფალ ადგილებზე, რომელსაც კოლეჯი გამოაცხადებს ამ დროისათვის (დამატებითი მნიშვნელოვანი დეტალებისათვის მიმართეთ კოლეჯს);
12. 2 ნოემბერს - ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამა - მოტივაციურ გასაუბრებას ჩაატარებს მარნეულის კოლეჯი;
13. 3 ნოემბერს - საფინანსო სერვისების პროგრამა - მოტივაციურ გასაუბრებას ჩაატარებს მარნეულის კოლეჯი;
14. **2023 წლის 11 ნოემბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით** სავალდებულოდ უნდა გამოცხადდეთ არჩეულ კოლეჯში განცხადების დასაწერად და საჭირო საბუთების წარსადგენად. **გაითვალისწინეთ!** ამ დადგენილ დღეებში არმისვლის შემთხვევაში, თქვენ ვერ ჩაირიცხებით სასურველ პროგრამაზე მიუხედავად რეიტინგული ქულისა;
15. ყველა პროფესიულ პროგრამაზე სწავლა იწყება 2023 წლის 15 ნოემბერს.

გისურვებთ წარმატებას

მარნეულის კოლეჯის ელექტრონული ფოსტა:

marneulicollege@gmail.com; info.marneulicollege@gmail.com

კოლეჯის საკონტაქტო ტელეფონი: 595 30 23 90

ვებგვერდი: WWW.MC.EDU.GE

ფეისბუქი: „მარნეულის კოლეჯი - Марнеульский колледж“

ინსტაგრამი: “marneulicollege”